ცნობის ფურცელი

№ 2328 ოთხშაბათი, 19 ნოემბერი **1896—1903** ყოველ-დღიური გამოცემა **№ 2328**

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"**. **ტელეფონი № 372.**

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—50 კაპ.	1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 3 თვით—6 მ., 3 თვით—3 მან.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მან.

ვინც **„მოამბეს"** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი"** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

1904 წელს „ცნობის ფურცლის" დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში", დასურათება დაიწყება **გურიიდან.** სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. **გარდა ამისა „მოამბის" ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, **25 დეკემბრამდე დაიკვეთონ,** რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.**

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—14)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვანაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახ. № 46.

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდუროვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქის პირდაპირ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38)

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოს 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, ს. ანტიპარმაკლიძისა. (20—ნ.—19)

წარ. 21, აბონემენტი № 6 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

პედაგოგები

კომ. 3 მოქმ. ოტტო ერნსტისა, თარგ. ნახუცრიშვილისა.

II

უბედური დებიუტი

ვოდ. 1 მოქმ. თარგ. ბ. ახოსპირელისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. დავითაშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, შალიკაშვილი, სარჯველაძე, იორდანაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: ს. სვიმონიძის საბენეფისოდ „ოტელლო".

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 19 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ტრუბადური

ოპერა 4 მოქ., მუს. ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გალცინა, სელიუკ, ლელინა; ბ-ნნი: დარსკი, გლადკოვი, კლიუზნერი, გრინევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 20 ნოემ.—წარმოდ. არ იქნება. 21 ნოემბ.—„ფრა-დიავოლო". მზადდება წარმოსადგენად „კამმორა" (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.— კბილისა, 10 ს. - 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შეიწოვება ძიძებისა) ოთხშაბათ-, პარასკ. და კვირაობით 1—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. გ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

„წ. კითხვის საზოგადოების" გამოცემანი: გამოვა დეკემბრის პირველ რიცხვებში სურათებიანი

საქართველოს კალენდარი

ვ. გუნიასი, სრულიად შეცვლილი და შევსებული ფ. გოგიჩაიშვილის მიერ.

სურათებიანი

კედლის კალენდარი

მრავალის ისტორიულ-ბიოგრაფიულ ცნობებით, აფორიზმებით, ლექსებით, სხვა-და-სხვა გამოსადეგის ცნობებით. (3—უ.—1)

იყიდება

ქუთაისში, არქიერის გორაზე, ადგილი ქალაქის „ვოდოპროვოდის" გვერდით, მარიამ სიმონის ასულის მარჯანიშვილისა. მოლაპარაკება შეიძლება ქ. ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში. (2—201—2)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩინეთი რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებს

„ნოვ. ვრემია"-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „12 ნოემბერი. აქ ცნობა მიიღეს ჩინეთის მთავრობა იაპონიას ემხრობა. პროვინციის უფროსებმა წინადადება მისცეს მთავრობას, თუ რუსეთსა და იაპონიას ომი მოუხდათ, ჩინეთის ჯარს მანჯურიაში გავგზავნითო; მთავრობა დასთანხმდა ამ წინადადებას. ამას გარდა ჩინეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, ორს რუსის სამხედრო გემს პორტ-არტურისაკენ გზა შეუკარით, რომ რუსეთის ესკადრას ვერ შეუერთდნენო. ამავე დროს ჩინეთის მთავრობა თავის ჯარისათვის იარაღს ჰყიდულობს".

„ნორთ-შინა დეილი ნიუს"-ი იუწყება, ჩინეთის ხელმწიფე-დედოფალი მანჯურიის ჯარის უფროსად მეფის-მოადგილის ჩანგჩიტუნის დანიშვნას აპირებს; ეს ჯარი რუსეთის წინააღმდეგ იმოქმედებსო".

რუსეთისა და იაპონიის ურთიერთობა

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო"-ს დეპეშით ატყობინებენ: „13 ნოემბერი. დეილი მეილი"-ს კორესპონდენტი ტოკიოდან დეპეშით იტყობინება: ჯერ კიდევ ოქტომბერში ერთმა ჟურნალისტმა იაპონიის პირველი მინისტრი კაცურა ნახა და გამოაცხადა, კაცურას იმედი აქვს, შორეულ-აღმოსავლეთის სადავო საქმე მშვიდობიანად გადასწყდებაო. იაპონიის პირველი მინისტრი აცხადებს ეხლა, ეგ ცნობა სწორე არააო, კორესპონტენტს, პირიქით, გამოვუცხადე, არა მგონია, საქმე მშვიდობიანად გადასწყდესო. ამავე საქმის თაობაზე „ტაიმს"-ს ატყობინებენ ტოკიოდან, რუსეთისა და იაპონიის ურთიერთობას არაფერი უკეთესობა არ ეტყობაო. იაპონიამ ჯერ კიდევ ოქტომბერში ჩააბარა რუსეთს თავისი წინადადება მანჯურიისა და კორეის თაობაზე, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიუღია. რუსეთის გაჩუმება ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს იაპონელ პოლიტიკოსთა წრეებზე. 6 დეკემბერს (ახალის სტილით, ჩვენებურად 23 ნოემბერს) იაპონიის დეპუტატთა პალატა გაიხსნება. თუ 6 დეკემბრამდე (ახ. სტ.) მორიგება არ მოხდა, ჰშიშობენ, ვაი თუ პალატის გახსნის შემდეგ სადავო საქმე დიპლომატიურად ვეღარ გადასწყდესო.

ჩინურ გაზ. „სინ-ვენ-ბაო"-ს პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, ჩინეთის ელჩმა—კორეიაშია ელჩად—და ერთმა ცნობილმა ტაოტაიმ 20 ოქტომბერს შეატყობინეს ჩინეთის მთავრობას, რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკება მორიგებით ვერ გათავდებაო, რუსეთიც და იაპონიაც ბეჯითად ემზადებიან საომრადაო. 12 ათასი იაპონელი ჯარის კაცი პინიანს გადმოვიდა და 3,500-ზე მეტი რუსი ჯარის კაცი მდინარე იალუში გავიდაო. ორსავ სახელმწიფოს ესკადრები ერთმანერთს უთვალ-თვალებენო. ხსენებული ჩინელი მოხელეები ჰფიქრობენ, რუსეთსა და იაპონიას აუცილებლად ომი მოუვათო.

აი, ასეთი ასაღელვებელი ამბები მოდის შორეულ-აღმოსავლეთიდან. მაგრამ ამავე დროს სულ სხვანაირი, წინააღმდეგი ცნობებიც მოდის. კორეის სატახტო ქალაქ სეულიდან იწერებიან: აქ მცხოვრები იაპონელები ძლიერ აღელვა სხვა-და-სხვა ხმებმა. ეს აღელვება კორეიელებსაც გადაედოთ. კორეიელები შეშინდნენ და მომეტებულ ნაწილად ბარგიბარხანა მოჰკრიბეს და ქალაქებიდან შორეულ სოფლებში გადასახლდნენ. იაპონიის კონსულმა სეულში იაპონელების დასამშვიდებლად პროკლამაცია გამოსცა. კონსული არწმუნებს იაპონელებს, სხვა-და-სხვა ჭორებს ნუ დაიჯერებთ, ომი'ა ნუ გეშინიანთო.

იაპონურ პრესსის აზრი შორეულ აღმოსავლეთის საქმეზე

არც იაპონურ გაზეთებს სჯერათ, რომ მანჯურიისა და კორეის საქმე უთოფოდა და უზარბაზნოდ გადასწყდეს. გაზ. „ჩიო-შიმბუნ"-ი სწერს: „რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკებას ნაყოფი არა მოაქვს-რა. შორეულ-აღმოსავლეთის პოლიტიკური სურათი-კი დღე და დღე იცვლება: ინგლისი და ამერიკა ჩვენ გვიჭერენ მხარსა და დიდ ოკეანეში თანდა-თან თავიანთ ფლოტს აძლიერებენ; გერმანიაც რუსეთის გავლენის შესუსტებას ცდილობს. რუსეთს მარტო საფრანგეთი-ღა ჰყავს ერთგულ მოკავშირედ. ამნაირად, რუსეთის წინააღმდეგ სამი სახელმწიფო მოქმედებს. იაპონია, ინგლისი და ამერიკა შორეულ-აღმოსავლეთში რუსეთის სახელისა და ძალის შემუსრვას აპირებენ. რუსეთი ეხლა ისეთ განსაცდელშია ჩავარდნილი, რომ, არა გვგონია, ვისთვისმე საშურველი იყოს იმისი ყოფა.

ამავე დროს რუსეთი მეტად მოურიდებლად იქცევა. იმისმა ქცევამ, ლამის, საერთაშორისო თანასწორობა დაარღვიოს და პოლიტიკურ ასპარეზზე ცეცხლი გააჩინოს. რუსეთი, უეჭველია, საომრად ემზადება: ნავთსადგურებს ამაგრებს, ჯარს უმატებს.

ბოლოს გაზეთი ურჩევს იაპონიის მთავრობას, რუსეთს მაგრად დაუხვდით და გაბედულად მოექეცითო.

კამათი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაზე

პალატა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტს იხილავდა. სოციალისტი-რევოლიუციონერი საბმა მთავრობას შეეკითხა, პრეზიდენტი ლუბე რომს როდის წავა და პაპს ჰნახავს თუ არაო. სამბამ, სხვათა შორის, სთქვა: „იმედი გვაქვს, ინგლის-საფრანგეთის ხელ-შეკრულობას დიდი შედეგი მოჰყვება და ჩვენი მთავრობაც ხანს აღარ დაახანებს და ჯარისა და ფლოტის შემცირებას შეუდგება. ჩვენ ნამდვილი მშვიდობიანი პოლიტიკა გვწადიან." ამის შემდეგ გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაზე ილაპარაკა და, სხვათა შორის, მაროკოს საქმესაც შეეხო. მინისტრმა სთქვა:

„მაროკოში გალაშქრება მთავრობას არას დროს არ მოუნდომნია; გინდაც მოენდომნა, საქმეს უპარლამენტოდ არ დაიჭერდა. მაგრამ მაროკოს ეხლანდელი თუ მომავალი ყოფა მაინც დიდად საინტერესოა საფრანგეთისათვის. ჩვენთვის დიდად საჭიროა, რომ მაროკო ყოველთვის მშვიდობიანი და დამოუკიდებელი ქვეყანა იყოს. ეხლა ყველანი თანახმანი არიან, რომ საფრანგეთს პირველობა ეკუთვნის მაროკოში". მინისტრმა გამოუცხადა პალატას, მაროკოს ჯარის მეთაურებად ამას იქით ფრანგი ოფიცრები იქმნებიანო.

დელკასეს შემდეგ, მინისტრად ნამყოფმა, პალატის ვიცე-პრეზიდენტმა ეტიენმა ჟორესის წინააღმდეგ ილაპარაკა და ამტკიცებდა, ჯარის შემცირება არ შეიძლებაო. ეტიენმა სთქვა:

ეროვნული

„დასახიჩრებული საფრანგეთი ჯარის შემცირებას ვერ მოითხოვს. ჯარის შემცირებაზე ლაპარაკი ევროპაში მარტოდ-მარტო გერმანიას შეუძლიან. ამ სახელმწიფოს არაფერი არ დაუკარგავს, არც არა სატირალი და სავალალო აქვს. მაგრამ გერმანია, ჯარის შემცირების ნაცვლად, მთელ ქვეყნიერობაზე გაბატონებასა ცდილობს. განა გერმანიამ გინდ ერთხელ მაინც ამოიღო ხმა ჯარის შემცირებაზე? განა ჩვენმა მოკავშირე რუსეთმა-კი მოითხოვა როდისმე ჯარის შემცირება? ჩვენ მშვიდობიანობა გვწადიან, მაგრამ ჯარის შემცირებაზე ლაპარაკი-კი ჩვენი საქმე არაა. როცა ამ საქმეზე სხვა რომელიმე სახელმწიფო ლაპარაკს ჩამოაგდებს, მაშინ ჩვენც მოვიფიქრებთ. მანამდე კი მე ვსთხოვ ჩემ სამშობლოს, თავის უბედურებას ნუ დაივიწყებს და თავისი ღირსება დაიცვას“ (მარჯვენა პარტია, ცენტრი და მარცხენა პარტიის ნაწილი ტაშს უკრავენ).

ეტიენს სოციალისტმა დეპუტატმა პრესანსემ უპასუხა. ორატორმა სთქვა: „ძლიერ სამწუხაროა, რომ ჯარსა და ფლოტზე მილიარდები იხარჯება. ჯარის შემცირება—აუცილებლად საჭიროა. გერმანიის ჯავრის ამოყრა ეხლა ჩვენში აღარავის არა სწადიან“. (უკიდურესი მარცხენა პარტია გაძლიერებულ ტაშს უკრავს, მარჯვენა პარტია და ცენტრი საშინელის ხმაურობით პროტესტს აცხადებენ). ნაციონალისტი დეპუტატები ლაზი, სიველტონი და გროჟანი წამოხტნენ და საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს დუმერს ჰკითხეს: კომისიაც პრესანსეს აზრს ეთანხმებაო? დუმერმა მიუგო: პრესანსემ მხოლოდ თავისი საკუთარი აზრი გამოსთქვაო. რადიკალ-სოციალისტმა ჰიუბარმა მოითხოვა, მთავრობა ჯარის შემცირების თაობაზე სხვა სახელმწიფოებს მოელაპარაკოსო (დიდი ხმაურობა ასტყდა). პოლკოვნიკმა რუსემ ელზასისა და ლორენის სახელით პროტესტი გამოაცხადა. გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემ სთქვა: „ამ საქმეზე სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკება სულაც არაა საჭირო. საფრანგეთმა ამ ბოლოს დროს ცოტათი შეამცირა თავისი სამხედრო და საზღვაო (ფლოტის) ბიუჯეტი. სხვა სახელმწიფოებიც ასე უნდა მოიქცნენ. ნამდვილ საქმეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ცალიერ, უსარგებლო სიტყვას. სხვა სახელმწიფოებმა რომ სამხედრო ხარჯები შეამცირონ, საფრანგეთიც ხელს მოუმართავს. მაგრამ ამ საქმეში თაოსნობას ჩვენ თავზე მაინც ვერ ვიკისრებთ“ (ძლიერი მოწონება).

ახალი ამბავი

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის თავადის **გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობის ბიულეტენი: ტემპერატურა დილით 37,3, საღამოთი 37,2, მაჯა 64. თვითგრძნობიერება საკმაოდ კარგი აქვს. ღონე ემატება. ანთების ნიშნები ცოტა-ღა ეტყობა. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადომსკი.

18 ნოემბერი, საღამოს 8 საათი.

◆ ტფილისში არსდება **სახლების ამშენებელი საზოგადოება.** აზრად ამ საზოგადოებას ის ექმნება, რომ ღარიბთათვის ნისიად სახლები ააგოს. სახლის პატრონნი თანდათან გაისტუმრებენ საზოგადოების ვალს.

◆ როგორც გვატყობინებენ, ამ ცოტა ხანში შეუდგებიან **სოხუმის ნავთსადგურის** გადაკეთებას. ადგილობრივ ქალაქის გამგეობას უკვე მიუღია ცნობა ამის შესახებ.

◆ ამ დღეებში მოხდება კრება ტფილისის **ხელოსანთა საზოგადოების** დეპუტატებისა და უსტაბაშებისა. კრებამ, ხელოსანთა მოურავის წინადადებით, უნდა აარჩიოს 60 კაცი, ე. ი. თითო პოლიციის ნაწილში 6 კაცი. ამათ დაევალებათ სასტატისტიკო ცნობების შეკრება ხელოსანთა შესახებ. არჩეულმა კაცებმა უნდა გაიგონ რამდენი ხელოსანია საპოლიციო ნაწილში, რამდენი ხელოსნის თანაშემწე და რამდენი მოსწავლე. ეს ცნობები ხელოსანთა გამგეობას, სხვათა შორის, იმისთვისა სჭირდება, რომ გადასახადები რიგიანად გაანაწილოს.

◆ **ელექტრონის სადგურს** ქუჩებისა და მოედნების გასანათებლად ქალაქის გამგეობა აშენებს მტკვრის პირად, მადათოვის კუნძულის პირდაპირ. გუშინ გამგეობამ სთხოვა წყალთა ინსპექტორს დააჩქაროს გამორკვევა საზღვრისა მტკვრის მარცხენა ნაპირას, სადაც კედელი უნდა ამოშენდეს მცხოვრებთა წყალდიდობისაგან უზრუნველ საყოფლად.

◆ ჰფიქრობენ, ბიბი-ეიბათიდან ბაქომდე **რკინის გზა გაიყვანონ.** სიგრძე გზისა 27 ვერსი იქმნება. არსდება სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც ძირის თანხად 1,800,000 მანეთი ექმნება.

◆ როგორც ვწერდით, ტფილისის **სახელოსნო სასწავლებელს** წარსულ სამოსწავლო წელს დეფიციტი ჰქონდა 7000 მან. ამდენივე მოსალოდნელია წელს. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის აზრით, დეფიციტის მიზეზი ის არის, რომ სასწავლებელს ეხლაც იმდენი ეძლევა, რამდენიც წინად ეძლეოდა. ცხოვრება-კი ამ ბოლო დროს ქალაქში გაძვირდა და სახელოსნო სასწავლებელშიაც ამ ჟამად გაცილებით მეტი მოსწავლეა, ვიდრე წინად იყო. წელს სკოლაში 175 კაცი სწავლობს.

◆ გუშინ, 18 ნოემბერს, ტფილისის მოქალაქეებმა მიხეილ ბარსკიმ და კონსტანტინე ხოლზოვმა განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში. სთხოვენ, ნება მოგვეცით **ცხენის რკინის გზა** გავმართოთ ნიკოლოოზის მოედნიდან მახათას გორამდე, სადაც უნდა აშენდეს წმ. ილია წინასწარმეტყველის ეკკლესიაო. ბარსკი და ხოლზოვი გზის გაყვანას აპირობენ ნიკოლოოზის მოედნიდან არსენალისა, ლაზარევისა, ალექსანდროპოლისა და პროექტის ქუჩებზე. საკონცესიო ვადად თხოულობენ დადებულ იქნას 30 წლიწადი. კონცესიონერები ქალაქის სასარგებლოდ გადაიხდიან 5$^0/_0$ მთელის შემოსავლისას. ვაგონში მჯდომთ გადახდებათ ნიკოლოოზის მოედნიდან არსენალამდე 3 კაპ., ხოლო მახათის გორამდე—5 კაპ.

◆ პირველ დეკემბერს სახაზინო თეატრში **ყაზიბეგის სკოლის სასარგებლოდ** გაიმართება საოპერო წარმოდგენა ბ-ნ ფიგნერის მონაწილეობით.

◆ 1902 წელს **ქალაქ ახალციხეს** შემოსავალი ჰქონია 35,124 მან. 70 კაპ. აქედან, სხვათაშორის, დაუხარჯნია: ჯარის სადგომზე—5,563 მ. 93 კ., პოლიციაზე—3,803 მ. 12 კ., სახალხო განათლებაზე—966 მ. 91 კ. და სამკურნალო-სანიტარო საქმეზე—620 მან. 23 კაპ.

◆ 1904 წელს მესამე სართულს დაადგამენ ამიერ კავკასიის **რკინის გზის გამგეობის სადგომს** და ახალ შენობებსაც ააგებენ იქვე. ამისათვის უკვე გადასდეს 105,000 მანეთი.

◆ მოკლედ უკვე ვაუწყეთ მკითხველებს შინაარსი იმ **სავალდებულო დადგენილებათა** პროექტისა, რომლითაც უსახელო საზოგადოების წარმომადგენელთ უნდა იხელმძღვანელონ ცხენის რკინის გზაზე წესიერების დასაცველად. საზოგადოების წარმომადგენელმა არ მოიწონა გამგეობის პროექტის მე-4, 17, 19, 20 მუხლები. წარმომადგენელი სწერს, რომ განცხადებების გაკვრა ვაგონებში საზოგადოების უფლებაა და ეს საქმე პოლიციასთან შეთანხმებით ხდებაო. რაც შეეხება იმას, თუ რამდენი ვაგონი უნდა მუშაობდეს დღე-ღამეში, ამაზე ხელშეკრულება არც ერთ სიტყვას არ ამბობს. ვაგონებს ამუშავებს საზოგადოება მოთხოვნილებისა დაგვარადაო.

◆ როგორც სადგურ ნავთლუხიდან გვატყობინებენ, 17 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, ამ სადგურიდან უნდა გამოსულიყო ტფილისისაკენ მატარებელი №-165. ამ დროს გამოსვლა დააპირა მეორე მატარებელმაც, №-155, რის გამო ერთმანეთს დაეჯახნენ. რამდენიმე ვაგონი გადავარდა და დაშავდა. კაცის თავს უბედურება არ მომხდარა.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ მისწერა უსახელო საზოგადოებას, საჩქაროდ მოკირწყლოს და შეაკეთოს ქუჩებში ის ადგილები, სადაც ლიანდაგია, და აგრეთვე ნომრები გაუკეთოს ადმართებში ცხენის გამომყვან მსახურებს და ფორმის ტანისამოსიც ჩააცვას. ცხენის რკინის გზის გამგემ შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ გზები მალე იქნება შეკეთებული და მოსამსახურეს ნომრებს გავუკეთებთ, ხოლო რაც შეეხება იმათ ფორმის ტანისამოსს, ამის შესახებ ხელშეკრულებაში არაფერია მოხსენებული და ამას ვერც ვიკისრებთო.

◆ 16 ნოემბერს პუშკინის ქუჩაზე სპარსეთის ქვეშევრდომის პუმბუროვისთვის ნიკოლოოზ ქიმიტოვს ჯიბიდან ვერცხლის საათი ამოუცლია და გაქცეულა. პოლიციელებს ქურდი დაუჭერიათ.

◆ ქიურდამირი: 17 ნოემბერს, დილის 6 საათზე, როდესაც მატარებელი №-158 სადგურში შემოდიოდა, კონდუქტორმა კუზმა სალნიკოვმა არ დაუცადა გაჩერებას, გადმოხტა და ვაგონ ქვეშ მოჰყვა. ვაგონმა დაუშავა ხელ-ფეხი. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ტფილისის ქალაქის საბჭო

17 ნოემბერი

1898 წელს ადმინისტრაციას მოუთხოვნია ქალაქისათვის: იმ პოლიციელთ, რომელთაც ნამსახურობის ზედ-მეტი ჯამაგირი ერგებათ, ქალაქმა ხვედრის ნახევარი გამოიღოს და დაუნიშნოსო. მაშინდელმა საბჭომ ამაზე უარი განაცხადა. ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ საბჭოს ასეთი დადგენილება დაარღვია და ქალაქი მოვალედ იცნო პოლიციელთათვის ზედ-მეტი ჯამაგირის მიცემაში. საბჭოს დავალებით ქალაქის მოურავმა სენატს მიართვა საჩივარი და სთხოვა საკრებულოს დადგენილება უკანონოდ ეცნო, მაგრამ არც სენატს შეუწყნარებია ქალაქის სათხოვარი და გუშინ-წინდელ სხდომაზე საბჭოს აცნობეს სენატის განაჩენი ამ საქმის შესახებ: ქალაქი მოვალეა 35 ათასი მანეთი გამოიღოს პოლიციელთათვის ზედ-მეტ ჯამაგირების დასარიგებლადაო. შემდეგ საბჭომ ხელ-ახლად აარჩია გამგეობის წევრად თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და არჩევის შემდეგ მომავალ წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას შეუდგა. საბჭომ მოისურვა აღრიცხვის ყოველისავე მუხლის დაწვრილებით განხილვა. მიიღო პირველი მუხლი—უძრავ ქონებაზე გაწერილი დასაფასებელი ხარჯი.

მე-II მუხლი: სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი: სამრეწველო მოწმობათაგან 33

ფელეტონი

ობლები

შუა ღამეა. ირგვლივ სახლები,
ატარა ბაღი შთაინთქა ბნელში;
მძიმე ჭაერი და ცივი სიო
დელავს, შემოდის ღია სარკმელში.
წვიმს შეუწყვეტლივ. ზოგჯერ მის შხუილს
თან ემატება ფოთოლთ შრიალი,
სიოს ბუტბუტი და ჩემი ძველი
კედლის საათის სუსტი ხრიალი.
მკვდარი ფოთლები, წვიმის წვეთები
ერთად ირევა, ჩემ წინ ეცემა,
სველი ფოთლები, ცივი წვეთები
ქარს ჩემსკენ მოაქვს—თავზე მეცემა.
სიბნელე მეფობს. მხოლოდ პირდაპირ
ფანჯრიდან მოსჩანს მკრთალი სანთელი,
მის სუსტსა შუქსა ქუჩის სველ ქვებზე
მისძინებია. მე ვიღას ველი?
თავი სველი მაქვს, მცივა, ვკანკალებ—
ფანჯარას მაინც ჯერ არ ვშორდები;
ლოგინში ჩავწვე? მე შიგნით მცივა
და სულ ერთია, ვერც იქ გავთბები.
ჩემშიც, გარეთაც შემოდგომაა:
დრო არსებობის გათავებისა,
დრო სიკვდილისა, არარაობის
და საუკუნო განსვენებისა.
წყვდიად ჯურღმულში—ვით ბედის წერა—
ობოლი წერო თავს დამტრიალებს,
სიბნელე ვეღარ გაურღვევია,
ერთ და იმავე ადგილს ტრიალებს.
იმისი კვნესა, ოხვრა, ტირილი
სიჩუმეს არღვევს, ვით გლოვის ზარი,
საწყალი მაინც ებრძვის სიკვდილსა,
თუმცა იმედი არსითდა არი.
თვით ამხანაგებს, სამხრეთს მიმავალს—
ვინ იცის რათა—უკან ჩამორჩა;
სხვანი გაფრინდნენ—ის სამუდამოთ
ეულად, მარტოდ და ობლად დარჩა.
იქნებ დასუსტდა, იქნებ უჭკუომ
არ მოიწონა ბრბოს კანონები,
ამაყად მათ გზას გადაუხვია
და მიატოვა ამხანაგები?
ან იქნებ თვით ბრბომ ძალით განდევნა
მარად თვითნება და ურჩი შვილი?
ბრბო მას იწონებს, ვინც მის კანონებს
ეთაყვანება, არის მორჩილი;
ვინც იმათ კერპებს საკმეველს უკმევს
და ისე სცხოვრობს ვით ბრბო უბრძანებს,
ვინც ენას იჭრის, ყურთ ბამბას იცობს
ბრბოსვე ბრძანებით თვალებს იბრმავებს;
აქებს სიცრუეს, სდევნის კეთილსა
და თვითვე ახრჩობს თვისვე ღირსებას,
ვინც არ შედრკება და მკვლელის ხელით
დაგრეხ-დასრესავს კაცის უფლებას!
უგუნური ბრბო! როგორ არ ესმის,
რომ თვითვე ადგენს ისეთ კანონებს,
რომლითაც თვითვე ხელ-ფეხს იბოჭავს
და თვისვე ნაწერს თვის თავს ამონებს!
კაცი თვის ღმერთი, კაცი—ბატონი
მთელის ქვეყნისა— შეხეთ—რას შვრება:
აკეთებს კერპებს და შემდეგ თვითვე
თვისვე ქმნილებას ემორჩილება!
მაგრამ ვინც იტყვის, რომ მე კაცი ვარ
და მაქვს უფლება, მაქვს სრული ნება
ავად თუ კარგად, შავად თუ თეთრად
მევე მოვაწყო ჩემი ცხოვრება,
მე გონება მაქვს და ჩემ სიცოცხლეს
სხვას არ დავუთმობ, იგი მე მინდა,—
ვის რა საქმე აქვს ჩემ მამა ღმერთთან—
იქნება იგი ავი თუ წმინდა?
ვინც მას მოითხოვს, რაც რომ მისია,
შეადგენს მხოლოდ მის საკუთრებას,
შემოქმედისგან მონიჭებულსა,
სარწმუნოებას, მის წმინდანებას,
ბრბო არ დაუთმობს, და ვით თვის მონას
მისცემს თვისკანვე შექმნილს კანონებს.
ის თუ გაბედავს და უარს იტყვის—
ძალა არსებობს! დაიმორჩილებს
და ბოლოს მასვე გახდის ბატონად,
მოკვდავ სიცრუის, მოკვდავ ძალისა
და მქადაგებლად ბოროტის სიბრძნის,
თვით მადიდებლად მათრახ-ხმალისა!
თვით მე, საწყალი, ვარ სუსტი, მხდალი;
მე ვერ გავბედე ამაყად, მედგრად
ჩემი ზიზღი და ღრმა მძულვარება
გადმეგდო ბრბოსთვის და შეუპოვრად
ამ სუსტი მკერდით უგუნურებას,
ძალმომრეობას წინ დავხვედრიყავ
და ჩემის ამაყ-გიჟურ სურვილით
ან გამემარჯვა, ან მომკვდარვიყავ.
მე კი—მშიშარა, ქვემძრომი ჭია
ბრბოს მოვეცალე, დავრჩი ობლადა,
ჩემს სუსტ არსებას, გულში დარჩენილს
ზიზღს, მძულვარებას ვათრევ სოფლადა.
ბრბოში მცხოვრები—ობლად ვიყავი;
ბრბოს გავეცალე—ისევ ობლად ვარ.
წერო კი ისევ ებრძვის სიკვდილსა.
ირგვლივ სიბნელე. მარტოდ მარტო ვარ!

მ. ადამაშვილი

სასკოლო საქმე თიანეთის მაზრაში

I

ფშავ-ხევსურეთი

(დასასრული *)

ხევსურის ბავშვები ნიჭიერები არიან. სულიერ თვისებებით ხევსურის ბავშვი ძალიან განირჩევა უსიცოცხლო ბარელისაგან. არამც თუ ბარელისა, სიცოცხლით სავსე ხევსურის ბიჭი ნიჭით გაცილებით სჯობნის თავისავე მეზობელ ფშაველს. სწორედ ეს ნიჭი ახალისებს ამათში მყოფ მასწავლებლებს და ეს ნიჭივე სამწუხარო ფიქრებსა ჰგვრის, როდესაც ჰხედავს, რომ პირ-აქეთ ხევსურეთის ოთხ საზოგადოების 703 კომლის სულიერ წყურვილის დასაკმაყოფილებლად ერთი სკოლა აქვს. ისიც მხოლოდ იმ სოფლელებისათვის ყოფილა ხელ მისაწვდომი, სადაც თვით სკოლა არსებობს, ე. ი. ბარისახოს 44 კომლ მცხოვრებისთვის. დანარჩენი 659 კომლს სკოლა არ მოეპოვება. გავიხსენოთ ახლა, რომ მჭიდროდ დასახლებული სოფლები—შატილის სოფლის საზოგადოება 300 კომლამდე მცხოვრებით,—სრულიად უსკოლოდ არიან დატოვებულნი.

ამ რიგად აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, დაარსდეს ეხლავე სკოლები პირ-აქეთ ხევსურეთის იმ ადგილებში მაინც, სადაც ეკკლესიების და მღვდლების სადგომების აშენება მოახერხა ყოფილმა ინსპექტორ მისსიონერმა ევ. მამინაიშვილმა: ე. ი. როშკასა, ბაცილიგოსა და ხახმატში. სოფ. შატილში სკოლის დაარსება ხომ სულზე მისწრება იქნება იქაურ ხევსურებისთვის, რომელნიც მომწყვდეულნი არიან ჩრდილოეთ ხევსურეთის სალ-კლდეებში თერგის ოლქის სამზღვრად და ქისტებთან განუწყვეტელ ჩხუბს უნდებიან. თუ ჯერ-ჯერობით ამ ალაგებში (როშკას, ხახმატს, ბაცალიგოს, შატილს) სკოლები ვერ დაარსდებოდა სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, სასურველია ადგილობრივმა მღვდლებმა მაინც გამოიჩინონ ფხა და თავიანთ სადგომებში დროებით წერა-კითხვის სკოლები დააარსონ. მით უმეტეს შესაძლებელია ესა, რომ იმათ სადგომებთან თითო თავისუფალი ოთახია ამ საქმისათვის. წერა-კითხვის სწავლებას ყველა შესძლებს, რადგან 4 კლასი ყველასა აქვს გათავებული. სასყიდელსაც არ

---

*) იხ. „ცნ. ფურც. № 2327.

ათასი მანეთი; სასმელების ქარხნებზე, მაგარ სასმელებით მოვაჭრეებზე და სხვ. გაწერილია 33 ათასი მანეთი; ტრაქტირებზე—67,400 მანეთი. —სულ 133,400 მანეთი.

მე-III მუხლი: ცხენებსა და ეტლებზე 38,500 მანეთი (წლევანდელთან შედარებით 500 მან. მეტი); ძაღლებზე—1,000 მან., კამეჩებზე, ხარებზე და ვირებზე—2 ათასი მ. სულ—41.500 მ.

მე-IV მუხლი: სხვა-და-სხვა საბუთების დამტკიცებისა 6 ათასი მანეთი; სასწორებისა და საწყავების დაბეჭდვისა 800 მანეთი; მოედნებზე გამართულის სასწორებისაგან—8.900 მანეთი; სააუქციონო დარბაზისაგან—2 ათასი მანეთი—სულ 17.700 მან.

მე-V მუხლი: ქალაქის მიწებისაგან 69.100 მანეთი; ქალაქის სახლებისაგან—16.300 მან., სხვა ადგილებისაგან—45.900 მან.; სათადარიგო თანხის სარგებელი 120 მან.; მიმდინარე ქალაქის თანხებისაგან სარგებელი 2.400 მანეთი; სულ—133.820 მან.

1899 წელს კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით ქალაქმა თავისი მიმდინარე თანხები კერძო ბანკებიდან გამოიტანა და სახელმწიფო ბანკში შეიტანა შესანახად. ეს ბანკი-კი სარგებელს არ იძლევა მიმდინარე თანხებზე. საბჭომ გუშინ, თანახმად საფინანსო კომისიის დადგენილებისა, დაავალა გამგეობას: სათხოვარი აღძრით მთავრობის წინაშე ნება მოგვცეს ქალაქის თანხები კერძო ბანკებში შევინახოთ, რადგან ეს ბანკები სარგებელს იძლევიან მიმდინარე თანხებზეო. შიდა რუსეთის ზოგიერთ ქალაქს ასევე უთხოვნია, მთავრობასაც შეუწყნარებია და ნება დაურთავს თავიანთი თანხები კერძო ბანკებში შეინახონ.

მე-VI მუხლი: ქალაქის წყლის სავსნიდან—276 ათასი მანეთი; ყასაბ-ხანიდან—64.600 მანეთი; ტრამვაიებისაგან—38,250 მან.; უსუფთაობის გაზიდვა 3 ათასი მან.; ქალაქის ლაბორატორიისა—9.300 მან.; ქალაქის ბაკებისაგან—22 ათასი მან.; წყლისსავსნის სახელოსნოსაგან—30 ათასი მან.; ქალაქის სახელოსნო სასწავლებლისა და ქალთა საპროფესიონალო სახელოსნოდან—8.500 მან., ხორცის დუქნებისაგან—35 ათასი მანეთი; სულ—487,050 მან.

მე-VII მუხლი: ხაზინისაგან დახმარება 65.965 მან., ქალაქის ლომბარდისაგან—14 ათასი მან.; განსაკუთრებით თანხებიდან—16.100 მან.: წამლობისაგან—3 ათასი მან.; სახელმწიფო გარდასახადების აკრეფისაგან—4.800 მან.; სასამართლოთა დადგენილების ძალით სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისაგან—3700 მან.; კანალიზაციის მილების აგებისაგან—5.600 მან.; მეეტლეებისაგან წესდებებისა და ნომრების დარიგებით—1 ათასი მანეთი; ლომბარდისაგან პრო- გაზისაგან გადმოცემული დაგირავებულ ნივთების გასანაღდებლად 5.340 მან.; იმისგანვე მე-3 საობლიგაციო სესხისაგან აღებულის ფულის გასანაღდებლად 21 ათასი მან., სულ 139.775 მან.

მე-VIII მუხლი: უძრავ ქონებაზე გაწერილ ხარჯების დაგვიანებულად შემოტანილს ფულზე გაწერილი ჯარიმები—22 ათასი მან.; ჯარიმები ვაჭრებზე—470 მან.; ჯარიმები ცხენებისა, ძაღლებისა და სხვა საქონლის ხარჯებისა—1200 მან.; სხვა-და-სხვა ჯარიმა—2400 მან.; მოულოდნელი შემოსავალი 1500 მან.; ქალაქის სანერგედან მცენარეთა გაყიდვით—700 მან.; საკანცელარიო შემოსავალი 500 მან.;—სულ 28.770 მან.

შემდეგი სხდომა საბჭოსი, განსაკუთრებით აღრიცხვის განსახილველად, ხვალისათვისაა დანიშნული.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ვესტნიკ იუგა“ აღნიშნავს ერთს საინტერესო საქმეს: 8 აგვისტოს ეკატერინოსლავში მუშათა დიდ არეულობის დროს ამ ქალაქშივე მცხოვრებ ქალს ულიანა ტრეტიკოვისას დაჰკარგვია მოზრდილი ვაჟიშვილი. სამს დღეს უძებნია, მაგრამ ვერ უპოვნია. დედის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონია: შემოურბენია მთელი ქალაქი, ყველა საპოლიციო ნაწილი, სატუსაღოები, მაგრამ შვილი ვერ უნახავს. ბოლოს ერთს მეზობელს უთქვამს დედისათვის, შენი დაკარგული შვილი სხვა შეპყრობილებთან ერთად ფეოდოსიის პოლკის ყაზარმაშია და კვდებაო. მწუხარებით ღონე მიხდილ დედას მოუვლია ხელი რაღაც სურსათისათვის და, რაც ძალა და ღონე შესწევდა, გაქცეულა ყაზარმაში, მაგრამ ყაზარმის ალაყაფის კარებთან მდგომ პოლიციელს არ შეუშვია ეზოში. დედამ გადასწყვიტა, ძალად შეჭრილიყო ყაზარმაში, მაგრამ პოლიციელი უფრო ღონიერი გამომდგარა: ულიანასათვის მაგრად უცემნია, შეუპყრია და გაუგზავნია პოლიციაში, სადაც შეუდგენიათ ოქმი. 8 ნოემბერს ულიანა ტრეტიკოვისა სასამართლოს მოუწვევია და ბრალსა სდებდა საზოგადო მშვიდობიანობის და წესიერების დარღვევისა და პოლიციის წინააღმდეგობის გაწევისათვის. სასამართლოში პოლიციელს განუცხადებია, ტრეტიკოვისამ საჯაროდ „ღორი“ მიწოდაო. მოწმეებს უჩვენებიათ, ულიანა ტრეტიკოვისას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ ცრემლებითა და ტირილით ემუდარებოდა, ყაზარმაში შემიშვიო, პოლიციელმა არ შეუშვა და მუშტებით ცემა დაუწყო. ნაცემმა ქალმა მხოლოდ ამის შემდეგ უწოდა პოლიციელს „ღორიო“. სასამართლოს ულიანა ტრეტიკოვისა სასჯელის ღირსად არ უცვნია. დაკარგული შვილი ცოცხალი და უვნებელი უნახავს.

◆ 14 ნოემბერს სამოსამართლო პალატას წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით დაუწყია ორენიენბაუმის ვაჭარ მოტინის საქმის განხილვა. მოტინი პასუხისგებაშია მიცემული 70 ათას მანეთის სახაზინო შეშის გაფლანგვისა გამო. ამავე საქმის თაობაზე პასუხის გებაში იყო მიცემული შეშის საწყობის გამგე პორუჩიკი გრიგორიევი, მაგრამ ამის საქმე დისციპლინარულ საშუალებით გადაუწყვეტიათ. სასამართლოში დამტკიცებულა, რომ მოტინი კერძო პირთა და დაწესებულებათ აძლევდა სახაზინო შეშას.

◆ გადაუწყვეტიათ, რკინის გზის სამსახურში შემსვლელ ქალებისათვის დაწესდეს სწავლა-განათლების ცენზი, რომელიც უნდა უდრიდეს დედათა გიმნაზიის სრულ კურსს.

◆ როგორც „ოდესკ. ლისტოკ“. იუწყება, დნეპროვსკის საერობო კრებას შუამდგომლობა აღუძრავს, ნება დაგვრთეთ საერობო სამსახურში ებრაელნი ფერშლები, ფერშალი ქალები და ბებია ქალები მივიღოთო.

◆ „ოდეს. ლის“. იუწყება, ნიკოლაევსკის ხორბლის ბირჟა ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო. 100 მილიონ ფუთამდე ხორბალი უკვე გაგზავნილია საზღვარ-გარედ, მაგრამ მაღაზიები მაინც სავსეა. სპეკულიანტი ვაჭრები დიდს განსაცდელში არიან. საზღვარგარეთიდან დეპეშებით იუწყებიან, რომ პურის ფასი საზღვარ-გარედ უფრო-და-უფრო ეცემაო.

◆ საერო განათლების სამინისტროს საჭიროდ უცვნია, უფლება მიანიჭოს ადგილობრივ საოლქო სამოსწავლო დაწესებულებათ, ნება დართონ ხოლმე სხვა-და-სხვა სპეციალურ კურსების დაარსებისა.

◆ 12 ნოემბერს ხარკოვში გაიმართა დონეცკის ბასეინის სამადნო და საქარხნო ექიმთა კრება, რომელზედაც აღუძრავთ საკითხი სამთო მრეწველთა ხარჯით მუშებისათვის ცენტრალურ საავადმყოფოს დაარსების შესახებ.

◆ დეპეშებიდან ვიცით, რომ პეტერბურგში 12 ნოემბერს დიდი წყალდიდობა იყო. როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გვაუწყებენ, წყალდიდობას ძლიერ დაუზარალებია პეტერბურგის მცხოვრებნი. საუბედუროდ, ქალაქის გამგეობას მოსალოდნელ უბედურების შესახებ დროზედ ღონისძიებანი არ მიუღია. ხალხისთვის არც-კი უცნობებია თავის დროზე მოსალოდნელი უბედურება, თუმცა გამგეობას 11 ნოემბერს ჰქონდა ცნობა ფიზიკო ობსერვატორიისაგან, რომ წყალი ადიდდებაო. უბედურება ის იყო კიდევ, რომ წყალი ღამე მოდიდდა, ნაშუაღამევის 3 საათზე. ჯერ მდინარის მახლობლად მდებარე ქუჩებში შევიდა წყალი, შემდეგ ქალაქის სხვა ადგილებსაც მოედო და სარდაფები და ქვედა სართულები ყველგან ამოავსო. ზოგან წყალი მეორე სართულსაც ასწვდა. გათენებისას ქუჩებში ნავებით გამოვიდნენ ხალხის საშველად. რა თქმა უნდა, უმთავრესად დაზარალდნენ ღარიბები და საწყლები, სარდაფებსა და ძირითა სართულებში მცხოვრებნი.

პრესსა

პეტერბურგის წერა-კითხვის საზოგადოების თაოსნობით, მომავალ იანვარში პეტერბურგს უნდა მოხდეს რუსეთის ყველა წერა-კითხვის საზოგადოებათა წარმომადგენლების საზოგადო კრება. პეტერბურგის გაზეთები დიდ მნიშვნელოვან მოვლენად სთვლიან ამ კრებას, რადგან წერა-კითხვის საზოგადოებათა მოღვაწეთ ჯერ არა ჰქონიათ საერთო კრებაო და რადგან ამ ჟამად ყველგან ემზადებიან საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებით სწავლების შემოღებისათვისო. განსახილველი საგნები ბევრია; მათგან გაზეთებში უფრო საყურადღებოთ სთვლიან შემდეგ საგნებს: 1) დაარსება დღისა და საღამოს სხვა და სხვა კურსებისა და საკვირაო სკოლებისა; 2) შემუშავება მეთოდისა, რომლის შეოხებით შესაძლებელია, ამგვარ კურსებსა და სკოლებში მეტი ცოდნა კარგად შეათვისებინონ მოსწავლეთ; 3) მოწყობა პოპულიარულ კითხვებისა, ლექციებისა, სახალხო წარმოდგენებისა, სახალხო ორკესტრებისა და ხოროებისა; 4) გამოცემა და გავრცელება ხალხში იაფისა და პოპულიარულის წიგნებისა. როგორც ჰხედავთ, კრებას ფრიად საყურადღებო საკითხები ექნება განსახილველი და ამიტომ სრულიად მართალია გაზ. „ბირჟ. ვედომ.“, რომელიც რჩევას იძლევა, კრებაზე დასწრებისა და მის მუშაობაში მონაწილეობის მიღების ნება შეზღუდული ნუ იქნებაო. ჩვენის ფიქრითო, ამბობს გაზეთი,

> საჭიროა კრებაში მონაწილეობის მიღების ნება მიეცეს ერობის, ქალაქის თვითმმართველობის და სხვა საზოგადო დაწესებულებათა მოღვაწეებს, სოფლის მასწავლებელთ, სოფლის ექიმთ და, საზოგადოთ, ყველა იმათ, ვისაც ხალხთან საქმე აქვთ და ვინც მონაწილეობას იღებს ხალხის განა-

---

უნდა გამოეკიდნენ, რადგან ეს საქმე იმათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს. ვერც მოუცლელობას მოიმიზეზებენ, რადგან იმათ მაგრე რიგად მრევლში საქმე არა აქვთ-რა. ამას გარდა აქაური მღვდლები შედარებით კარგ სასყიდელს იღებენ. ხევსურეთის მღვდლებს წელიწადში 600 მანეთი ეძლევათ (გარდა ორ სამრევლოსი, ახიელის და ხახმატისა, რომლის მღვდელნიც 500 მანეთს იღებენ). შემოსავალი მრევლიდან (მიცვალებულზე 1 მ. 20 კ. ნათლობაზე 20 კ. და კომლის პური) სხვა გახლავთ. სადგომები ხომ, როგორც მოვიხსენიეთ, ყველას გვარიანი აქვს. ორ-ორი ოთახი თავის სამზარეულოთი, ერთი ფართო ოთახი დატანებულია სკოლისთვის. ამ სადგომების აშენება ხევსურებს იაფად არ დაუჯდათ, თუ გავიხსენებთ იმ ვაება-წვალებას, რომელიც გამოიარეს იმათ, ჯოჯოხეთურ ბილიკებზე ყოველ-გვარ მასალის—ხე-ტყის, კირის, ქვის, ქვიშის—უფასოდ მიზიდვის დროს თავიანთ ჯორაკებით. არც ის გარემოება უნდა დავივიწყოთ, რომ ხევსურებს სამს ადგილას, ე. ი. როშკასა, ახიელსა და ბაცალიგოს, გარდა სამღვდელოების შენობებისთვის მოუხდათ ახალ ეკკლესიების აგებაც. „კავკ. ქრისტ. აღ. საზოგადოებამ“ თითო ეკკლესიის ასაგებად 4000 მანეთი გაიღო და ამდენივე თითო სადგომისა მღვდლისათვის.

მთელ ხევსურეთში წერა-კითხვის სკოლა მხოლოდ ერთ სოფელ—ახიელშია. ეს სოფელი მდებარეობს პირ-იქით ხევსურეთში, ყველაზე მივარდნილ ალაგას 10 ათას ფუტის სიმაღლეზე. გარშემო ამ სოფელს კავკასიონის უმთავრეს ქედის თოვლიან-ყინულიანი მთები არტყია. ამის გამო ამ სოფელთან მიმოსვლა მხოლოდ ზაფხულობით 3 თვეს სწარმოებს. თუმცა სოფელი ახიელი ასე მოწყვეტილია ამ ქვეყანას, მაინც სკოლა თავის სურვილით დაიარსეს სოფლელებმა. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ სოფელი კავკავზე მარჯვედ არის. ხშირად დაიარებიან იქ სავაჭროდ, სამუშაოდ, ჰხედავენ, რომ უწერა-კითხვოთ ვაჭრობა-მუშაობა ძნელია და სკოლისა და სწავლის ფასი გაიგეს. ახიელის წერა-კითხვის სკოლა მართალია 1900 წელს დაარსდა, მაგრამ წესიერი სწავლება შემდეგ წლიდან დაიწყო, როდესაც დაენიშნა საკუთარი მასწავლებელი, რომელიც იმავ დროს მედავითნეთაც უნდა ყოფილიყო. სასკოლო რაიონში ითვლება 417 სული ხევსური, კაცი და ქალი. სკოლა მოთავსებულია ძველ დახავსებულ საკრებულოს შენობის ერთ ოთახში. საღმრთო სჯულს ამ სკოლაში ადგილობრივი მღვდელი (ხევსური) ბალიაური ასწავლის. განვლილ სამოსწავლო წელს სკოლაში 27 მოწაფე ირიცხებოდა. სწავლებისა და აღზრდის საქმე ამ სკოლაში მღვდელ-დიაკვნის მოუცლელობის, უფრო კი მოუმზადებლობის, გამო ვერ არის კარგ მდგომარეობაში. მომზადებულ მოსწავლის დანიშვნა ამ სკოლაში სწორედ სულზე მისწრება იქნება, რადგან, როგორცა ვსთქვით, ახიელელებს სწავლის წყურვილი დიდი აქვთ. ამნაირად სკოლების რიცხვით ხევსურეთი ძალიან ღარიბია. 6560 სულ ხევსურის სწავლა-აღზრდის საქმე თითქმის ერთ ბაირასახოს სკოლასა ჰქონია ჩაბარებული, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ მეორე წერა-კითხვის სკოლას პირ-იქით ხევსურეთისას სოფ. ახიელში. ამ ციფრებს ახსნა აღარ ესაჭიროება. ვნახოთ რა ყოფაშია ახლა ფშავეთი.

ფშავეთი მდებარეობს ფშავის არაგვის ხეობაში. მთელ ფშავეთში 10 ათასი სული მცხოვრები ითვლება. ბოლო დრომდის აქ არც ერთი სკოლა არ იყო, არც სამინისტრო, არც სამრევლო, თუმცა სწავლის მნიშვნელობა ფშავლებს კარგადა ჰქონდათ შეგნებული. სკოლის დასაარსებლად ფულის გაღებაზედაც თანახმანი იყვნენ. საჭირო იყო მხოლოდ მეთაური ამ საქმეში. ასეთ მეთაურებად ფშავლებს გამოუჩნდნენ თავისივე თანამოძმენი ძმ. რაზიკაშვილები: ბაჩანა და ვაჟა. 1898 წელს განაჩენიც შეადგინა სკოლის დაარსებისა ფშავეთის ორმა საზოგადოებამ შუაფხოსამ (123 კომლი) და მაღაროსკარისამ (196 კომლი). შენობის ასაგებად ორმავე საზოგადოებამ 2000 მანეთი გაიღო ფულად. მასწავლებელს ყოველ წლივ ჯამაგირად 200 მანეთი აღუთქვა. მაშინ დაეხმარა „კავკასიაში ქრ. აღ. საზოგადოება“-ც და სკოლის შენობისათვის 500 დაუმატა, ხოლო მასწავლებელს ჯამაგირად 300 მანეთი ყოველ წელს.

დიდი მითქმა-მოთქმა გაიმართა სკოლის ალაგის არჩევაზე. ფშავლებსა და იმათ მეთაურებს სკოლის აგება ჰსურდათ სოფ. ჩარგალში, „ქრ. აღ. საზოგადოების“ წარმომადგენელს ბ-ნ მამინაიშვილს-კი მაღაროსკარში. სკოლის შენება მაღაროსკარში დაიწყეს.

მაღაროსკარი არაგვის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს და სრულიად შეზღუდულია სამი მხრივ ტყიან ქედებით და 2—3 დესეტინა მიწა უჭირავს. თვით სოფელი არა სჩანს. როგორც, საზოგადოდ, ფშავლის სოფლები, ესეც ისე ერთი სახლი ხევ-გაღმაა წამოსკუპებული, მთის კალთაზე, მეორე ხევგამოღმა, თითქმის $1^1/_2$—2 ვერსის მანძილზე. ძირს დაბლობში ორ სართულიანი შენობაა სამმართველოსი, ეკკლესია და სკოლა. მაღაროსკარის სკოლის შენობა ქვისაა და 4 ოთახისაგან შესდგება. სკოლა 2 ოქტომბერს 1900 წელს გაიხსნა. სკოლის გახსნას ორივე საზოგადოებიდან აუარებელი ფშაველი დაესწრო. იქვე მოჰკრიბეს მასწავლებლის ჯამაგირისთვის 200 მანეთი და მას შემდეგაც სინიდისიერად იხდიან ამ ხარჯს. ფშავლებივე თავიანთის ხარჯით აწვდიან სკოლას შეშას და უყენიათ სკოლის დარაჯი. ყველა საგნების მასწავლებლად ამ სკოლაში ირიცხება ნიკო (ბაჩანა) რაზიკაშვილი, გადმოყვანილი თავისივე თხოვნით ბარისახოს სკოლიდან, სადაც 10 წელიწადი დაჰყო. ბ-ნი რაზიკაშვილი აქ უფრო მეტის ხალისით შეუდგა შრომას. ამაში დამსწრე ფშავლები დარწმუნდნენ თავიანთ შვილების გამოცდის დროს. მიუხედავად სამოსწავლო წლის სიმცირისა (ყელჭირვების გამო), სწავლების საქმე მშვენივრად იყო დაყენებული. მოწაფეების სწორე, დაკვირვებულმა პასუხებმა და ზედმიწევნით ცოდნამ როგორც რუსულისა, ისე ქართულის ენისამ, ფიცხელმა ანგარიშმა 1000-მდე ყველანი დაარწმუნა, რომ დახელოვნებულ პედაგოგის ყურადღებას არაფერი გამოჰპარვოდა ბავშვების სწავლის საქმეში.

სკოლასთან არსებულ თავ-შესაფარში შორეულ სოფლებიდან 30 მოწაფემდის ცხოვრობს. ყველა ესენი თავის პურზე არიან. მთელ დღეს მასწავლებლის ხელმძღვანელობის ქვეშ ატარებენ. გაკვეთილების შემდეგ მოწაფე-ფშავლები თავიანთ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ სკოლასთან ერთ დესეტინა მამულში. სთესენ, ამყნობენ ხეებს და ყველაფერში დაუზარებლად ჰშველიან მასწავლებელს, რომლის არამც თუ სიტყვა, თვალით ნიშნებაა საკმარისი, რომ გაიგონ ყველაფერი. აი, ეს ერთად-ერთი სკოლა აქვთ ფშავლებს, 10 ათას სულ კაცს. არა აქვთ სკოლა ისეთ მჭიდროდ დასახლებულ სოფლის საზოგადოებებს, როგორიც ჩარგალისაა (200 კომლი, 1038 სული), მუქოსი (127 კომლი, 760 სული) უკანა ფშავისა (210 კომლი, 1054 სული), თუმცა, ვიმეორებთ, სწავლის წყურვილი ნიჭიერ ფშავთა შორის დიდია.

დ. პავლიაშვილი

თლებისა და გართობის საქმეში; გარდა ამისა, კრების მუშაობა საჯაროდ უნდა სწარმოებდეს, რათა პრესამაც მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ საქმეების განხილვაში. მხოლოდ ამ პირობებში იქნება ნაყოფიერი მომავალ კრების მუშაობა და მის ღვაწლსაც მნიშვნელობა ექნება.

შემდეგ, გაზეთის აზრით, ურიგო არ იქნება, კრებასთან შესაფერისი გამოფენაც მოეწყოს. კრებაო, განაგრძობს გაზეთი, უფრო საინტერესო იქნება და მეტ ხალხსაც მიიზიდავსო, თუ მასთან

გამართული იქნება გამოფენა: წიგნებისა, სამოსწავლო საგნებისა, სახელმძღვანელოებისა, სკოლის ავეჯეულობისა, სახალხო ბიბლიოთეკების კატალოგებისა, რუქებისა და სხვა ამგვარებისა, რომელნიც ახასიათებენ რუსეთში წერა-კითხვის საქმის მდგომარეობას.

ამგვარ კრებისა და გამოფენის მოსაწყობად, რასაკვირველია, კარგი მომზადებაა საჭირო და ამიტომ გაზეთი წინააღმდეგია, რომ კრება იანვარში მოხდეს. იანვრამდეო, სწერს გაზეთი, ორი თვე·ღა დარჩა და ამ მოკლე ხანში

ვრცელ ანგარიშის დაწერაც ძნელია, არამც-თუ გამოფენის მოწყობა, მასთან იანვარი ცუდი დროა კრების მოსახდენად, რადგან იანვარში ყველა საზოგადო მოღვაწეთ ისედაც ბევრი სამუშაო აქვთ: ძველი წლის განმავლობაში მოქმედების ანგარიშების დამზადება და სხვა. ამიტომ, უმჯობესი იქნება, კრება ან ზაფხულ·ში დაინიშნოს ან შემოდგომის პირველ თვეს.

მართალია გაზეთის ყველა შენიშვნები მომავალ კრების გამო, მაგრამ, ჩვენის აზრით, სცდება გაზეთი, რომ კრების პროგრამა სავსედ და მშვენიერად მიაჩნია: პროგრამა არას ამბობს სახალხო კითხვებისა და გასართობების გამართვის შესახებ იმ განაპირა ქვეყნებში, სადაც ხალხის დიდ უმრავლესობას რუსული ენა არ ესმის. ეს საკითხი ძველია და, სამწუხაროდ, დღემდის გადაუწყვეტელი რჩება. აქა-იქ საზოგადო დაწესებულებათ და კერძო მოღვაწეთ რამდენჯერმე აღუძრავთ საკითხი იმის შესახებ, რომ სახალხო კითხვებისა და ლექციების მოწყობა მკვიდრთა ადგილობრივ ენებზედაც შეიძლებოდესო, მაგრამ ეს საქმე გამოურკვეველია: ზოგგან სახალხო წარმოდგენების გამართვა ადგილობრივ ენებზე ნება დართულია, კითხვებისა-კი არა, ლექციების კითხვაც შეზღუდულია და სხვა. ამიტომ, კარგი იქნება ამ საგანზედაც იქონიოს მსჯელობა მომავალმა კრებამ. სწორედ ამიტომვეა საჭირო, რომ კრებას განაპირა ქვეყნების წერა-კითხვის საზოგადოებათა წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

სასამართლო

(წერილი სოხუმიდან)

I

ქალაქის მოურავის გალანძღვა

ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ 13 ნოემბერს სოხუმში გაარჩია სექმე სოხუმის ნამოურავალის ბერენსისა, რომელიც ნახმოსნარს თ. სახოკიას უჩიოდა, 1900 წელს, სამსახურის ასრულების დროს, შეურაცხმყო, მიწოდა ცრუ და ყალბის მქნელიო. ეს საქმე მეტად დამახასიათებელია როგორც თვით ბერენსის პიროვნებისა, ისე იმ ურთიერთ დამოკიდებულებისა, რომელიც ერთ დროს სოხუმის მოურავსა და ხმოსნებს შორის სუფევდა.

საბრალმდებლო ოქმი მოკლეა. 1900 წლის იანვარში ხმოსანთა კერძო მოლაპარაკებაზე, როდესაც სჯა ჰქონდათ ხორცის ნიხრის დადგენის შესახებ, ხმოსანმა თ. სახოკიამ ქალაქის მოურავს ბერენსს ამაღლებულის ხმით უთხრა: „როდესაც მე სიცრუეში დაგიჭირეთ, დიახ სიცრუეში... ეს ურცხვობაა“... ეს სიტყვები ბერენსმა შეურაცხყოფად ჩასთვალა, იჩივლა და სასამართლომაც ნახმოსნარი თ. სახოკია, კანონთა დებულების მე-286 სტატიის ძალით პასუხის გებაში მისცა. საქმის გარჩევას მოწმენი, ბერენსი და დიმიტრიევი, არ დაესწრნენ, გამოცხადდა მხოლოდ ერთი მოწმე ნესტორ მასხარაშვილი, რომელსაც წინასწარ გამოძიების დროს გამომძიებელისთვის უჩვენებია ყოველივე ზემოთქმული. თავის თავს თვით ბრალდებული თ. სახოკია იცავდა, რომელმაც განაცხადა, რომ ბერენსს მარტო ის ვუთხარი: „როდესაც სიცრუეში დაგიჭირეთ“... თუ დანაშაულად ჩამეთვლება რამე, მხოლოდ ამ სიტყვების თქმაო. მთელი ეს საქმე,—სთქვა ბრლადებულმა,—ასტყდა ხორცზე ნიხრის დაწესების გამო. 1899 წლის ივლისიდან მოკიდებული იანვრამდე,მთელის ნახევარ წლის განმავლობაში, ბერენსი თვითონ თავის ნებით აწესებდა ნიხრს, თუმცა საქალაქო დებულება პირდაპირ ამბობს: სანოვაგეზე ნიხრს საბჭო აწესებსო. ყასბები იმავ თავითვე სჩიოდნენ, ნიხრი მცირედი წესდება, ამ ნიხრით გაყიდვა ხორცისა ხელს არ გვაძლევს და იძულებული ვიქნებით დუქნები დავკეტოთ და ვაჭრობაზე ხელი სრულებით ავიღოთო. თუ ჩვენი არა გჯერათ, გამოიძიეთ, რა ფასად იყიდება ხორცი ახლა იმ ადგილებში (ნოვოროსიისკსა და ეკატერინოდარში), საიდანაც საქონელს მოვერეკებითო. მაგრამ მათს საჩივარს ყური არავინ ათხოვა. 1899 წლის დეკემბერში ქალაქში ბერენსმა ნიხრი გააკვრევინა; რომელსაც ქვეშ ეწერა: ეს ნიხრი საბჭოს დაწესებულიაო. თუმცა საბჭოსათვის არავის უკითხავს იმისი დაწესება. ამ ნიხრის ძალით ყასბებს გირვანქა ხორცი იანვარში 9 კაპეიკად უნდა მიეყიდნათ მუშტრებისთვის. ყასბები ერთხმად აყაყანდნენ: ჩვენ თვითონ გირვანქა ხორცი ორ შაურად გვიჯდება და ცხრა კაპეიკად გაყიდვა როგორ უნდა შევიძლოთო? სულ არ გავყიდით ხორცსაო, და მართლაც რამდენისამე დღის განმავლობაში ქალაქში კაცი ხორცს ველარ შოულობდა. 3 იანვარს ბერენსმა ხმოსნები მოიწვია, კერძოდ მოვილაპარაკოთ ხორცის გაყიდვის თაობაზედაო. მე ბერენსს ვუთხარი, რომ ის იმავ თავითვე უკანონოდ იქცეოდა, ჩვენ არაფერსა გვკითხავდა და შედეგი თქვენის ასეთის მოქმედებისა თქვენ თვითონ სწვნიეთ-მეთქი. ყასბებმა რამდენჯერ გვითხრეს, მათისავე ხარჯით შეგვეტყო ფასები, იმ ადგილებში არსებული, საიდანაც საქონელს მოერეკებიან. თუ შემოდგომაზე შესაძლებელი იყო მათთვის ხორცი 9 კაპეიკად გაეყიდნათ, ახლა ზამთარია, საქონლ.ს გადმოყვანა ნოვოროსიისკიდან ძნელია. თუ თვით ნოვოროსიისკში გირვანქა ხორცი ორ შაურად იყიდება, აქ ხომ მეტი უნდა ღირდეს! თქვენ კი ეუბნებით ამ ხალხს იმ ფასებზე ნაკლებად გაყიდონ ხორცი, რა ფასებიც ახლა ნოვოროსიისკშია. ეს ხალხი იმისთვის შრომობს, რომ რამე გაიგოს და არა იმისათვის, რომ თვითონ იზარალოს, ოღონდ კი სოხუმლებს ხორცი იაფად მიჰყიდოს. ასეთ ქველმოქმედებას იმათ ვერ მოვთხოვთ და აღარც იმათ აქვთ ხალისი ასეთი სიქველე გამოიჩინონ. ყასბები მეგრელები რომ არიან, განა ამიტომ უნდა ვუთხრათ, მუქთად მოგვყიდეთ ხორციო. ბარემ ისიც გვითხარით, აიბარგნენ აქედან! ამაზე ბერენსმა მიპასუხა, რომ მე ყასბებსა ვკითხე და მითხრეს 9 კაპეიკად გავყიდით ხორცსაო. ამაზე ვუპასუხე: ეს იმდენად მართალია, რამდენად მართალია ისა, რომ იანვრის ნიხრი ჩვენს საბჭოს დაედგინოს. თქვენ იმათთვის არაფერი გიკითხავთ. ბატონი ბრძანდებით, ეგრე იყოს, ჩვენც დავადგენთ 9 კაპეიკს, მხოლოდ თუ გამოჩნდა, რომ თქვენთვის იმათ თანხმობა არ განუცხადებიათ და ქალაქი უხორცოდ დარჩა, პასუხის მგებელი თქვენ, და მხოლოდ თქვენ იყავით მეთქი. ორ დღეს არ გაუვლია, რომ ყასბებმა თხოვნა შემოიტანეს, ნიხრი თუ არ მოგვიმატეთ, დუქნებს დავკეტავთო. 5 იანვარს ხელახლა შევიყარენით. კრებას ყასბებიც დაესწრნენ. ქალაქის მოურავს ვუთხარი, თქვენ რომ ბრძანებდით, ყასბებსა ვკითხე და ისინი თანახმა არიან 9 კაპეიკად გაყიდონ ხორციო, როგორ მოხდა, რომ იგივე ყასბები ნიხრის მომატებას თხოულობენ. მე აკი გითხარით, რომ თქვენ იმათთვის არაფერი გიკითხავთ, მთელი საბჭო შეაცდინეთ, საქმის ნამდვილი ვითარება არ მოახსენეთ, არ გინდოდათ გამოტეხილიყავით, რომ კანონსა და საბჭოს უფლებას სთრგუნავდით. თუ ახლაც აიხირებთ, აი ყასბები აქა დგანან და ვკითხოთ, თუ თქვენ იმათთან რამე ლაპარაკი გქონდათ ამ საგნის შესახებ-მეთქი. საჭიროდ არა ვთვლი ყასბებთან ლაპარაკი გავმართოვო, მიპასუხა ბ-ნმა ბერენსმა. მაშინ მე ვუთრახი: „როცა ტყუილის თქმაზე დაგიჭირეთ“... ეს ვუთხარი და მოურავმა დარბაზს თავი დაანება და კრებაც დაიშალა. ბ-ნნო მოსამართლენო,—დასძინა თავის გასამართლებლად ბრალდებულმა,—ჩემი სიტყვები ეწყინა ქალაქის მოურავს ბერენსს, შეურაცხყოფად მიიღო. მაგრამ ჯერ ეს ერთი, რომ ეს სიტყვები იმიტომ კი არ ვუთხარი, რომ მისთვის მეწყენინებინა, არამედ სიმართლე მეთქვა. მეორე ისა, რომ შეურაცხყოფილად ბერენსს კა არ უნდა ჩაეთვალა თავისი თავი, არამედ საბჭოს, რომელსაც ბერენსი ასე უზოდიშოდ ატყუებდა, მისს უფლებას სისტემატიურად ლახავდა, უარყოფდა. ბერენსს თავისი თავი წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც სრული ბატონი ქალაქისა და არა აღმასრულებელი ორგანო საბჭოს ამა თუ იმ დადგენილებისა. რა უნდა ეწოდოს ისეთს მოურავს, რომელიც თვითმმართველობის საქმეში თვით ნებობას ამეფებს? ესეთი კაცი გახლდათ ბერენსი და ეს ბერენსი თხოულობდა, პატივით მომეპყარითო. არა, როგორ უნდა მოვპყრობოდით პატივით იმ კაცს, რომელიც მთელს საბჭოს გვაუპატიურებდა, აბუჩად გვიდებდა, რომელსაც სხვისი პატივისცემა კანონში არ ეწერა. ყოველისავე ამის მაყურებელმა ვერ მოვითმინე, როგორც ხმოსანმა, რომელსაც ვალად მაწვა ჩემთა-ამომრჩეველთა და თანამოქალაქეთა ქომაგობა, და, მართალია, ვუთხარი „სიცრუეში დაგიჭირეთ“-მეთქი. მაგრამ იძულებული ვიყავ მეთქვა ეს სიტყვები, ეს მის-მიერ სრულებით დამსახურებული სიტყვები. ბრალმდებელმა უარი განა‌ცხადა თ. სახოკიას ბრალდებაზე, ხოლო სასამართლომ მიუსაჯა ჯარიმა 75 მანეთი ან და ერთის თვით საპყრობილეში დაპატიმრება, თუ დამნაშავე ამ ფულის გადახდაზე უარს იტყვის.

II

ქურდობა

17 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მაზრის სოფელ გიორგიწმინდის მცხოვრების იაგორ ბულიაშვილისა და გორის მაზრის სოფელ ძეგვის მცხოვრების პავლე მიქელაძისა. ბულიაშვილს ჰბრალდებოდა ცხენის მოპარვა, ხოლო მიქელაძეს—მოპარულ ცხენის ყიდვა. 15 ივნის რიყეზე საქმისათვის ჩასულა ვარდის-უბანის მცხოვრები ფირანა ოგანოვი. ოგანოვს ცხენი ურემზე მიუკრავს და თითონ სავაჭროდ წასულა დუქანში. როცა დაბრუნებულა, ცხენი ველარსად უნაპავს. ოგანოვს ჯალალოვისათვის უთხოვნია დახმარებოდა. ჯალალოვს სადღაც გაუგია, რომ ცხენი მოუპარავს იაგორ ბულიაშვილს, გამოსდევნებია, დაუჭერია ცხენი იარმუკაზე და წარუდგენია მაზრის უფროსის თანაშემწის გუგუშვილისათვის, რომელსაც გამოსტეხია ბულიაშვილი, ცხენი მე მოვიპარე და მივყიდე პავლე მიქელაძეს 15 მანეთადო. გაუგზავნიათ სოფელ ძეგვში დარაჯი და მართლაც მოპარული ცხენი აღმოსჩენია მიქელაძეს. ბულიაშვილი წინადაც ყოფილა სამართალში მიცემული. მაზრის უფროსის თანაშემწემ განაცხადა, ბულიაშვილი 30 წელიწადი ქურდობს და ამით ცხოვრობსო. სასამართლომ იაგობ ბულიაშვილს გადაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთი წლითა და 3 თვით გაგზავნა, ხოლო მიქელაძეს ერთის თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

III

15 დეკემბრისათვის დანიშნულია საქმე ფოსტის გაძარცვის შესახებ, 1902 წელს, 19 ოქტომბერს, თელავის გზა-ტკეცილზე, უჯარმასა და კოჯორს შუა. პასუხის გებაში, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, მიცემულია: მიხეილ ნაცვლიშვილი, ისიდორე მახარაძე, თარხან მამულაიშვილი, კოწია ჭელიძე და მილორდ (იგივე შიო) ღლონტი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ნოემბერი

პეტერბურგი. მის უდიდებულესობას ხელმწიფე დედოფალს ალექსანდრა თეოდორეს ასულს გუშინ ტემპერატურა ჰქონდა 37,2. დღეს დილით ტემპერატურა—36,9; მაჯა 64. ყურიდან ჩირქის დენა თან-და-თან მცირდება. ანთება სცხრება. რადგანაც მისი უდიდებულესობა ეხლა კარგად არის და ყურის ავადმყოფობის პროცესიც კარგად მიმდინარეობს, ამიტომ ბიულეტენები აღარ დაიბეჭდება.

მადრიდი. დედოფალი ქრისტინა შეუძლოდ არის.

კოსტრომა. მდინარე ვოლგა გაჰყინა.

კერჩი. გამოვიდა პირველი ნომერი „კრიმსკაია გაზეტა“-სი.

რეველი. განგესთან დაიღუპა ფინლიანდიის სამგზავრო გემი „ველლამო“. დაწვრილებითი ცნობები არ არის.

ლონდონი. ხმები იმის შესახებ, რომ პარლამენტი ადრე დაიხურებაო, უსაფუძვლოა.

შანხაი. მიღებულია ბრძანება, გაიგზავნოს პეკინში მანჯურიის საუკეთესო ჯარი, რომელიც თან ეხლება ქვრივ დედოფალს დასავლეთ ჩინეთში განზრახულ მოგზაურობის დროს.

18 ნოემბერი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია ბრძანება საზღვაო უწყებასადმი. ამ ბრძანებაში ნათქვამია, სინოპის სახელოვან ბრძოლის 50 წლის თავზე უმაღლესად ნება-დართულია, აღდგენილ იქმნას 1856 წლის 26 ნოემბერს გამოცხადებული ბრძანება (№ 122), რომლის ძალით შავისა და კასპის ზღვის სამხედრო გემებს ნება ჰქონდათ მიცემული დროშებზე წმ. გიორგის სახის გამოხატვისა,—იმ გემებს, რომელთაც 1856 წელს უმაღლესად ნაბოძები ჰქონდათ წმ. გიორგის დროშები სებასტოპოლის დაცვაში მონაწილეობის მიღებისათვის. გვარდიის ცხენოსან არტილერიის ბრიგადის მეორე ბატარეის უფროსი პოლკოვნიკი დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე დაინიშნა იმავე ბრიგადის მეორე დივიზიონის უფროსად.

სოფია. იმის მაგიერად, რომ ბოლგარიიდან მაკედონიაში ბრუნდებოდნენ, გადახვეწილნი ისევ მოდიან ბოლგარიაში; მთავრობა იძულებულია იშუამდგომლოს საერთო კრების წინაშე გადახვეწილთა დასახმარებლად სპეციალურ სახსრის დანიშვნის შესახებ.

17 ნოემბერს კრებაზე ილაპარაკეს მთავრობის ორატორებმა. ორატორები დანევის კაბინეტის დაცვამას იმითა ჰხსნიან, რომ ეს კაბინეტი ხალხს არ უყვარდაო. ცანკოვისტები ბევრს ჰპირდებოდნენ ხალხს, მაგრამ არაფერი არ გაუკეთებიაო. შეერთებულის ოპპოზიციის მიზეზად ორატორები სთვლიან ამომრჩეველთა გულ-გრილობასა და იმას, რომ დასების კავშირი ერთმანერთს შორის მტრული განწყობილებისა გამო ხალხს არ უყვარდაო.

ჯულფა. სპარსეთში მოგზაურობის დროს აღმოჩნდა, რომ ახალ სატამოჟნო ტარიფის შემოღების შემდეგ მთელ ადერბეიჯანის პროვინციაში რუსეთის საქონელი წინანდელზე გაცილებით მეტი შემოდის, ევროპისა-კი ნაკლები.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრიის ელჩები ბეჯითად თხოულობენ, რომ რეფორმების თაობაზე წარდგენილ ნოტის პირველი ორი მუხლი განხორციელდესო. ამ ორის მუხლით ავსტრიამა და რუსეთმა მოითხოვეს, მაკედონიის უმთავრეს ინსპექტორთან ორსავ სახელმწიფოს წარმომადგენლები დაინიშნონ და ჟანდარმერიისათვის ახალი წესები დაწესდესო. ოსმალეთის კომისიამ, მარშალ ზექი-ფაშისა, კარათეოდორი-ფაშისა და ტევფიქ-ფაშისაგან შემდგარმა, ელჩების წინადადება უნდა განიხილოს და როგორმე შეთანხმება ჩამოაგდოს. ავსტრიის წარმომადგენლად ავსტრიის საელჩოს პირველ თარჯიმანად ნამყოფის გაჩერის დანიშვნას აპირებენ.

სოფია. რუსეთის მთავრობა ხელ-ახლად თხოულობს, რომ ბოლგარიამ ოკუპაციის ვალი გადაუხადოს. ეს ვალი 30 მილიონ ფრანკამდე ადის. ვალის გადახდა, 1898 წლის შეთანხმების ძალით, წლეულ უნდა დაეწყო ბოლგარიას, მაგრამ დანევის კაბინეტის თხოვნით 1906 წლამდე გადაიდო. ბოლგარიის მთავრობამ რუსეთთან მოლაპარაკება გამართა და ითხოვა, ვალის გადახდის ვადა კიდევ მოგვიმატეთ და სხვა შეღავათიც მოგვეცითო.

პორტ-არტური. ინგლისის პირველმა მინისტრმა ამას წინად სთქვა, იაპონიის ოფიციოზური პრესსა გულის-წყრომით იხსენიებს თავის მოკავშირე ინგლისს, ნამდვილად-კი ამ პრესსას ჩვენის ზომიერებისა, სამართლიანობისა და კეთილგონიერების იმედი უნდა ჰქონდესო. ამის თაობაზე გაზ. „ჯაპონ ტაიმს“-ი ამბობს, ინგლისის პირველ მინისტრს იაპონიის გულ-მოდგინეობა უფრო კეთილის სიტყვითა და თანაგრძნობით უნდა მოეხსენებინაო. ამის გამო „ნოვი კრაი“ სწერს: ეტყობა „ყვითელმა საფრთხემ“ და ამ საფრთხის ნიშნებმა ყველანი გამოაფხიზლა. ეხლა მანჯურიიდან ჯარის გაყვანას თითქმის აღარავინ თხოულობს. პეკინიდან იუწყებიან, განთქმული საჭურისი ლილიანინი მხნედ ურჩევს ჩინეთის დედოფალს, რუსეთს, რაც შეიძლება, მალე მოურიგდი და ჩჟანჯიტუნისა და რუსეთის მტერ მოხელეების დარიგებას ყურს ნუ უგდებო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჟაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 24 ნოემბრისთვის, გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა იჯარით ოთხი დუქანი ბაზრის ქუჩის ბოლოში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმას პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დან 3 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე, ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს, უნდა წარადგინოს ბე 70 მანეთი. (2—6.—1)

სამკურნალო

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა**. მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭიროა წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა. (15—187—7)

საპონი ჰოლლენდერ

ვაზელინისა სატუალეტო
საუკეთესო პირისათვის. ნაჭერი 30 კ.

ვისაც ჰსურს ნამდვილი ვაზელინის საპონი მიიღოს, უნდა მოიკითხოს მხოლოდ საპონი **ჰოლლენდერ** ვაზელინისა სატუალეტო. ისყიდება იმპერიის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. სავაჭრო სახლი **„პარფუმ. ლაბორატორია ი. ჰოლლნდერ“**, რაზიეზჟაია ქ. 13. (Разъѣзжая ул., 13). (4—6.—3)

Позв. ценз. Тифлисъ 18 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.і Т—ва